3582-15-9-2-202003270841

N 15-9/3582
27/03/2020

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭებასთან და მსჯავრდებულ [redacted] ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების, მოპოვებული დოკუმენტების და საკანონმდებლო ბაზის შეფასების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა პენიტენციური დეპარტამენტის N18 დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილებაში განთავსებული მსჯავრდებული [redacted]ს განცხადებები, რომლის მიხედვით, 2017 წლის შემდეგ აღარ ეძლევა ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის განმარტებით, 2011 წლის შემდგომ ძირითად მოთავსებულია N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილებაში. მისი ცნობით, სასჯელის მოხდის პერიოდში მხოლოდ სამჯერ მიეცა ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. განმცხადებლის მითითებით, ამ დროს ხდებოდა მისი გადაყვანა N18 დაწესებულებიდან სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, იქ არსებული ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის გამოყენების მიზნით.[1]

სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულმა [redacted] ხანგრძლივი პაემნის უფლებით ისარგებლა N16 დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილი ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურით. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მიზნით, იგი N16 დაწესებულების ტერიტორიაზე 2016 წელს პირდაპირ N18 დაწესებულებიდან

[1] [redacted] 2019 წლის 15 ოქტომბრის N13011/19 განცხადება.

იქნა გადაყვანილი; ხოლო 2017 წელს N18 დაწესებულებიდან ჯერ გადაყვანილ იქნა N8 დაწესებულებაში, საიდანაც ორჯერ გადაიყვანეს N16 დაწესებულების ტერიტორიაზე და ბოლოს ისევ დააბრუნეს N18 დაწესებულებაში.[2]

განმცხადებელი დამატებით განმარტავს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა საშუალებას პერიოდულად დატოვოს სამკურნალო დაწესებულება. ამ ფაქტს ადასტურებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის N374230/01 წერილიც, რომლიდანაც ჩანს [redacted] სხვადასხვა დაწესებულებაში გადაადგილების ამსახველი მონაცემები. [redacted] განცხადებით, სწორედ, ამ გარემოების გათვალისწინებით, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, 2018 წელსაც ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის პირობით, 2 მარტიდან 16 აპრილამდე იმყოფებოდა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში და ელოდებოდა მის რიგს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისთვის. განმცხადებლის ცნობით, დროულად არ მოხდა ხანგრძლივი პაემნის ორგანიზება და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო N18 სამკურნალო დაწესებულებაში. მითითებულ პერიოდში მითითებული ეტაპირების ფაქტს ადასტურებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის N374230/01 წერილიც.

მსჯავრდებულისთვის კანონით გათვალისწინებული ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის საკითხზე სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა სპეციალური პენიტენციურ სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს.[3]

პენიტენციური დეპარტამენტის თანახმად, N18 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულისთვის არ იგეგმება ხანგრძლივი პაემნის უფლებით უზრუნველყოფა შესაბამისი სამკურნალო კურსის დასრულებამდე, ანუ სანამ არ მოხდება მისი N18 დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.[4]

სამართლებრივი დასაბუთება

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირის შენარჩუნებას.[5]

ციხის ევროპული წესების თანახმად, პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა თავიანთ ოჯახებთან, მათ შორის, პაემნის მეშვეობით,[6] ხოლო ამ კუთხით დაწესებული ყველა შეზღუდვა უნდა იყოს კონკრეტული (თანაზომიერი).[7]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, დაუშვებელია ოჯახთან კონტაქტში საჯარო ხელისუფლების ჩარევა უკანონოდ, ლეგიტიმური მიზნების გარეშე.[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის

---

[2] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის N374230/01 წერილი.

[3] სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 22 იანვრის N15-9/691 წერილი.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის N35154/01 წერილი.

[5] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები"), N106 წესი.

[6] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის რეკომენდაცია ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი N24.1.

[7] იქვე. წესი 24.2.

[8] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8.

მიხედვით, კონვენციის მე-8 მუხლი ასევე მოიცავს პატიმართათვის ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.[9]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებას. სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პატიმრის მნიშვნელოვანი უფლების ნაწილია ოჯახური ცხოვრების შენარჩუნება და აღნიშნულ საკითხში ხელისუფლება უნდა აძლევდეს პატიმარს საშუალებას შეინარჩუნოს ოჯახური კონტაქტი.[10]

ამ კონტექსტში სასამართლო ხაზს უსვამს პატიმრის რეაბილიტაციის პრინციპს, ანუ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციას. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია არა ბლანკეტურად, არამედ მაშინ, როდესაც ინდივიდუალურ შემთხვევაში, პატიმრის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება წარმოადგენს საფრთხეს სხვა პირის მიმართ,[11] ან სახეზეა სხვა სახის ლეგიტიმური საჯარო ინტერესი.[12] ბლანკეტური შეზღუდვების არსებობისას დარღვევა დადგინდა მაშინაც კი, როდესაც შეზღუდვები მიემართებოდა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებს.[13]

საქართველოს პატიმრობის კოდექსი პატიმრის გარესამყაროსთან კონტაქტის უფლების ელემენტად ხანგრძლივი პაემნის უფლებასაც მოიაზრებს.[14] კოდექსის მიხედვით, ხანგრძლივი პაემანი არის მსჯავრდებულის თანაცხოვრება დაწესებულების ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, კანონით განსაზღვრულ პირთა წრესთან[15] და არ აწესებს რაიმე შეზღუდვას N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებზე. თუმცა, თავად N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულება, სხვა [არასამკურნალო] პენიტენციური დაწესებულებების დებულებებისგან განსხვავებით, აღნიშნული უფლებით სარგებლობას სახელდებით არ ითვალისწინებს.[16] დებულება ასევე არ განსაზღვრავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესსა და პროცედურას, რაც გვხვდება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში, სადაც ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება გარანტირებულია.

სწორედ, ამ საკანონმდებლო ბუნდოვანების გამო N18 დაწესებულებაში არსებულ პრაქტიკას სახალხო დამცველი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი ჯერ კიდევ წლების წინ აკრიტიკებდა.[17]

---

[9] ეპნერს-გეფნერსი ლატვიის წინააღმდეგ, 37862/02; 2012, § 63.

[10] ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ, 2015, 41418/04, § 110.

[11] ლორსე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, 2003, 52750/99, §§ 83-86.

[12] პიჩოვიცი პოლონეთის წინააღმდეგ, 2012, 20071/07, §§ 205- 222.

[13] ტროსინი უკრაინის წინააღმდეგ, 39758/05, 2012.

[14] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17^2.

[15] იქვე.

[16] იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N114 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხლი 46.

[17] მაგალითად, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 20. < http://www.ombudsman.ge/res/docs/2019040513262313034.pdf >

წინამდებარე საქმის ანალიზი

როგორც ქართული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის ანალიზიდან ირკვევა, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა წარმოადგენს პატიმრის გარესამყაროსთან კონტაქტის ელემენტს. იგი უმნიშვნელოვანესია პატიმრის ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნებისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესისთვის, რაც თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[18]

პენიტენციური დაწესებულებებისგან განსხვავებით, N18 დაწესებულების დებულება ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას, მისი გამოყენების წესსა და პროცედურას არ ადგენს. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, მცირე ხნით იმყოფებიან და შესაბამისი სამედიცინო ინტერვენციის შემდგომ ხდება მათი პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა, სადაც უკვე შეუძლიათ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა.

თუმცა, საგულისხმოა, რომ N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მცირე ხნით სამკურნალოდ მოთავსებული პატიმრების გარდა, იმყოფება არაერთი პატიმარი, რომელიც, [redacted] მსგავსად, ხანგრძლივი ვადით საჭიროებს სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნას. ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მოთავსებული არიან N18 დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილებაში.[19]

იმის გამო, რომ N18 დაწესებულების დებულება არ ითვალისწინებს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას სახელდებით, აღნიშნულ პატიმრებს, [redacted] მსგავსად, უწევთ N18 დაწესებულებისგან სამედიცინო დახმარების მიღებაზე თვეობით უარის თქმა, რათა გადაყვანილ იქნან სხვა დაწესებულებაში და შემდგომ შეძლონ ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი პაემნის მეშვეობით შეხვედრა. მსგავსი ბლანკეტური აკრძალვა არათუ ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ სტანდარტებს, არამედ ასევე საფრთხის ქვეშ აყენებს მსჯავრდებულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მაშინ, როდესაც ისინი პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებიან და არ იღებენ სათანადო სამედიცინო მომსახურებას N18 დაწესებულებაში.

სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილია, რომ N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არ არის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. თუმცა, N18 დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, N8 დაწესებულების ეზოში, მოწყობილია ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის ინფრასტრუქტურა, რაც თავისთავად ამცირებს ლოჯისტიკურ დაბრკოლებებს და შესაძლებლობას იძლევა, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესახებ N18 დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილებაში მყოფ პატიმართა განცხადებები განიხილებოდეს ინდივიდუალურად.

---

[18] სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[19] იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N114 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხლი 22.

ხანგრძლივი პაემნის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ 2016 წლის შემდგომ არ შეცვლილა არცერთი კანონი ან კანონქვემდებარე აქტი[20] იმგვარად, რომ რაიმე სახის შეზღუდვა დაწესებულიყო N18 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესთან დაკავშირებით; ან რომელიც ახსნიდა [redacted] დაკავშირებული მიდგომის ცვლილებას - თუ რის გამო ეზღუდება ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება 2018-2020 წლებში, მაშინ როდესაც იგივე საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში 2016-2017 წლებში ისარგებლა ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ თითოეული პატიმარი უნდა სარგებლობდეს ხანგრძლივი პაემნის უფლებით. სწორედ, ამ მიზნით არ ადგენს არც პატიმრობის კოდექსი რაიმე სახის შეზღუდვას N18 დაწესებულებაში მოთავსებულ პირებზე. მეორე მხრივ - სახალხო დამცველი ითვალისწინებს იმასაც, რომ ხანმოკლე პერიოდით N18 სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანის შემთხვევაში, არ დგას ხანგრძლივი პაემნის უფლების უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობა სწორედ მითითებულ პერიოდში. თუმცა, აქვე ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ N18 დაწესებულებაში პატიმართა გარკვეული ნაწილი იმყოფება ხანგრძლივად, რიგ შემთხვევაში, წლების მანძილზეც. შესაბამისად, ინდივიდუალურად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველაზე ოპტიმალური და ჯანმრთელობისთვის/სიცოცხლისთვის უსაფრთხო პერიოდის შერჩევის გზით, სასიცოცხლოდ აუცილებელია მათი უზრუნველყოფა ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

ამ მიზნით კი აუცილებელია კონკრეტული პროცედურები, წესები გაიწეროს N18 დაწესებულების დებულებაშიც, რომელიც პენიტენციურ სამსახურს მისცემს მკაფიო ინსტრუქციებს, დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის პოზიციის მხედველობაში მიღებით, პატიმრის ჯანმრთელობისთვის/სიცოცხლისთვის შესაძლო რისკების გაანალიზებითა და გამორიცხვით, ხანგრძლივი მოვლის მიზნით N18 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმარი უზრუნველყოს ხანგრძლივი პაემნის უფლებით. მსგავსი მკაფიო ჩანაწერი გამორიცხავს პატიმრის უფლებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსხვავებული, ბუნდოვანი ან არაგანჭვრეტადი პრაქტიკის დამკვიდრების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით:

1. N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებაში სახელდებით მიეთითოს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების შესახებ, შესაბამისი პროცედურის მკაფიო გაწერით;

---

[20] გარდა N18 დაწესებულების დებულებისა, ასევე არ შესულა რელევანტური ცვლილება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 ივლისის N132 ბრძანებაში „მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ".

2. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება პატიმრებს მიეცეთ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდივიდუალური გათვალისწინებით;

3. უზრუნველყოთ [redacted] ხანგრძლივი პაემნის უფლებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მხედველობაში მიღებით.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი